

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

სასტუმრო საქმის სპეციალისტი

პროგრამის ხელმძღვანელი: ნანა კაციტაძე

თბილისი
2015

- I. **სახელწოდება:** სასტუმრო საქმის სპეციალისტი
- II. **სარეგისტრაციო ნომერი:** 10111-3
- III. **პროფესიული კვალიფიკაციის დონე ევროპულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიხედვით:** მეოთხე
- IV. **მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია:** სასტუმრო საქმის სპეციალისტის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
- V. **საკანონმდებლო ბაზა:**
- საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ
 - ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო
 - სასტუმრო საქმის სპეციალისტის პროფესიული სტანდარტი
- VI. **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:** სრული ზოგადი განათლება
- VII. **კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები:**
პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს ნებისმიერი ტიპის სასტუმროში როგორც დაბალი რგოლის თანამშრომლად, ისე საშუალო რგოლის ხელმძღვანელად.
- VIII. **პროგრამის მიზანი:**
პროგრამის მიზანია მოამზადოს სასტუმროს საქმის სპეციალისტი, რომელიც შეძლებს სასტუმროს ყველა განყოფილების სამუშაოების ხელმძღვანელობას.
- IX. **სწავლის შედეგები:**
პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:
- პერსონალისა და ადმინისტრაციული პროცესების ხელმძღვანელობა
 - დაჯავშნისა და მიღება-განთავსების პროცედურის უზრუნველყოფა
 - დასუფთავების მომსახურების უზრუნველყოფა
 - კვების ობიექტების გამართულად მუშაობის უზრუნველყოფა
 - სასტუმროს შიდა, მარტივი მარკეტინგული საქმიანობის შესრულება
 - უსაფრთხოების უზრუნველყოფა
 - პრობლემური სიტუაციების მართვა
 - შესყიდვებისა და მარაგების მონიტორინგი
- X. **პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა:**
- **მოცულობა:** 108 კრედიტი
 - **სავარაუდო ხანგრძლივობა:** 20 სასწავლო თვე (80 კვირა)

XI. პროგრამის სტრუქტურა და მოდულები:

სავალდებულო ზოგადი მოდულები		სავალდებულო პროფესიული მოდულები		არჩევითი პროფესიული მოდულები	
დასახელება	კრედიტი	დასახელება	კრედიტი	დასახელება	კრედიტი
კომუნიკაცია	3	გაცნობითი პრაქტიკა-სასტუმრო საქმის სპეციალისტი	2	კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებები	8
რაოდენობრივი წიგნიერება	2	საწარმოო პრაქტიკა-სასტუმრო საქმის სპეციალისტი	12	უცხო ენა (რუსული)	4
საინფორმაციო ტექნოლოგიები	4	პრაქტიკული პროექტი-სასტუმრო საქმის სპეციალისტი	6	პირველადი გადაუდებელი დახმარება	2
მეწარმეობა	5	სასტუმროს ადმინისტრაციული პროცესების უზრუნველყოფა	5	ღონისძიების გაფორმება და დიზაინი	7
პიროვნული და ინტერპერსონალური უნარები	1	სასტუმროს პერსონალის მართვა	3		
უცხოური ენა	5	სასტუმროს დაჯავშნისა და მიღება-განთავსების პროცედურების უზრუნველყოფა	7		
		სასტუმროს დასუფთავების მომსახურების უზრუნველყოფა	6		
		სასტუმროს კვებისა და სასმელების მომსახურების უზრუნველყოფა	7		
		სასტუმროს უსაფრთხოების	5		

		უზრუნველყოფა			
		მარტივი მარკეტინგული საქმიანობა სასტუმროში	5		
		პრობლემური სიტუაციების მართვა სასტუმროში	4		
		სასტუმროს შესყიდვებისა და მარაგების უზრუნველყოფა	5		
სულ:	20	სულ:	67	სულ:	21

XII. პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება

1. შეფასება არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი.
2. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.
3. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:
 - ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
 - ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.
4. განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება პროგრამის დასრულებამდე.
5. შეფასების მიმართულებები და შეფასების ინსტრუმენტების ალტერნატიული ჩამონათვალი მოცემულია შესაბამის მოდულში.

XIII. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება:

პროფესიულ კვალიფიკაციას ანიჭებს თსუ. პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს ყველა ზოგადი და პროფესიული სავალდებულო მოდულით გათვალისწინებული კრედიტები, ასევე არჩევითი პროფესიული მოდულებიდან 21 კრედიტი.

სასწავლო პროგრამა